თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2164152

ნომერი: AR1337694

თარიღი : 26.08.2015

გაცემის თარიღი : 01.09.2015

გაცნობის თარიღი : 01.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ბაგაური პ/ნ 01005006768
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 მუხლის ,,ა" პუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის ფუნქციაა დადგენილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ–სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა. ამავე პუნქტის ,,ფ" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. აღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით და გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში,კოსტავას ქ. N35-ში არსებულ შენობასა და ტერიტორიას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიუღებელია არსებული შენობის ამ მასშტაბით განვითარება, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილდეს მოქ. ლ. ბაგაურის 26.08.15 წლის N AR1337694 განაცხადი ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N35–ში წარმოდგენილი ფოტომონტაჟით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.